

საღილებელად ყოვლადწმიდისა
თანაასისა, ცხოველსაყოფელისა
და განუყოფელისა სამებისა, მამისა
და ძისა და წმიდისა ცელისა

ლოცვანი დაწყებითათვის

(მეშვიდე, შესწორებული და
შევსებული გამოცემა)



დაიბეჭდა წიგნი ესე **ლოცვანი დამწყებთათვს**,
ქალაქისა თბილის, დასაბამითგან სთვლისადთ
7621-სა, ხოლო განკორციელებითგან
სიტყვსა დმტთისა, 2017-სა წელსა

საქჩევი

ლოცვანი საცისპლონი (დოლის).....	3
ლოცვანი სამწუხალონი	
(პოლად გისლვის).....	15
ლოცვანი უწინარეს ზიარებისა (კოლუთიად წმიდისა ზიარებისად).....	24
სამადლოგელნი ლოცვანი უემზომად	
საღმითოდ ზიარებისა.....	31
სხვადასხვა ლოცვანი.....	34
ლოცვანი სავადრებელნი, რიცხვი 24-ია	
შამთანი (დამისახი და დღისახი).....	45

გამოსაცემად მთამზადა: ათანასე ბეჭვანიძე
დიზაინერი: გიორგი ნავრათიშვილი

რეცენზირებულია და წებადართულია გამოსაცემად საქართველოს სამოციქულო
აგტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამოშეცემლის და რეცენზირების
დეპარტამენტის მიერ. დეპარტამენტის თავმჯდომარე
ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი





ლოცვანი საპისკოპო (დოლის)

აღდგომილი ძილისაგან, უწინარეს ყოვლისა
სხვსა რაღამე საქმისა, კრძალვით წარსდგე
წინაშე ყოვლისმნილველისა ღმრთისა და ბირ-
სა ზედა თუსსა პატიოთხნისა ჯუარისა სასწაუ-
ლისა გამოსახვითა სამადლობელად ღმრთისა
თქუ*:

სახელითა მამისაღთა, და ძისაღთა, და
სულისა წმიდისაღთა. ამინ.

შემდგომად მცირედ თდენ ყოვნე, ვიდრემდე
ყოველნი საგრძნობელნი შენნი არ დასცხოან
და გულის-ზრახვანი შენნი არ დაუტევენ ყოვ-
ელსავე მიწისაგანს, და მაშინ, ნუ სწრაფით, და
გულისჯმის-ყოფით, წარმოთქვ ესე ლოცვანი:

ლოცვა მეტუერესი
(სახარება ლუკახსი, 18, 13.)

ღმერთთ, მიღხინე ცოდვილსა ამას.

*ლოცვისას იყოთხება მხოლოდ შავად ნაბეჭდი ტექსტი.



ლოცვანი წინადაწყებითნი

უფალთ იესუ ქრისტე, ძეთ ღმრთისათ, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისათა და ყოველთა წმიდათათა, შეგვწყვალენ ჩუენ. ამინ.

დიდებად შენდა, ღმერთო ჩუენთ, დიდებად შენდა!

მეუფეთ ზეცათათ, ნუგეშინისმცემელთ, სულთ ჭეშმარიტებისათ, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეთ კეთილთათ და მომნიჭებელთ ცხოვრებისათ, მოვედ და დაემკადრე ჩუენ შორის, და წმიდა-მყვენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერთ, სულნი ჩუენნი.

წმიდათ ღმერთთ, წმიდათ ძლიერთ, წმიდათ უკუდავთ, შეგვწყვალენ ჩუენ (*3-გზის*).

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ყოვლადწმიდათ სამებათ, შეგვწყვალენ



ჩუენ, უფალო გკვსნენ და გკლხინე ცოდვათა ჩუენთაგან, მეუფეთ, შეგვნდვენ უშაველოებანი ჩუენნი, წმიდათ, მთინილე და განკურნენ უძლურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათვს.

უფალო, შეგვწყალენ (*3-გზის*).

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

მამათ ჩუენთ, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა-იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი; იყავნ ნებად შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანისა ზედა. პური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მისსნენ ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევად და ძალი და დიდებად საუკუნეთა მიმართ. ამენ. (*სახარებად მატთესი, 6, 9-13.*)



50-ე ფსალმუნი (სინანულისა)

მიწყალე მე, ღმერთთ, დიდითა წყალთბითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღვთუე უმჯულოებად ჩემი. უფროს განმბანე მე უმჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე, რამეთუ უმჯულოებად ჩემი მე უწყი, და ცოდვად ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ; რადთა განპმარითლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო შჯასა შინა შენსა. რამეთუ ესერა უმჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამინ ჩემმან. რამეთუ ესერა ჭეშმარიტებად შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფროს თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინთ მე გალთბად და სიხარული, და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარემიაქციე



პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უმჯულოებანი ჩემნი აღვთვენ. გული წმიდათ დაპატიჟოდე ჩემ თანა, ღმერთთ, და სული წრთველი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისად და სულითა მთავრობისადთა დამძმტკიცე მე. ვასწავლნე უმჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მთიქცენ. მიყსენ მე სისხლთაგან, ღმერთთ, ღმერთთ ცხოვრებისა ჩემისათ; იხარებდეს ენად ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკუეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მეწირა; არამედ საკუერთხი არა გთნდეს. მსხუერპლ ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ყოს. კეთილი უყვავ, უფალო, ნებითა შენითა სითხსა და აღეშტნენ ზღუდენი იერუსალიმი-



სანი. მაშინ გთხდეს მსხუერპლი სიმართლისად, შესაწირავი და ყოვლადდასაწუკელი; მაშინ შეწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

მოწამეთ (სიმბოლო სატრუნობისად)

მოწამე ერთი ღმერთი, მამად ყოვლისამბყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისად, ხილულთა ყოველთა და არახილულთად. და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისად, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა; ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნული, თანაარსი მამისად, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩუენთვს, კაცთათვს და ჩუენისა ცხოვრებისათვს გარდამთვდა ზეცით, და ჭორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა. და ჯუარს-ეცუა ჩუენთვს პონტოელისა პილატეს ზე, და



ივნო, და დაეფლა, და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა. და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯუენით მამისა. და კუალად მომავალ არს დიდებით განშვად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ. და სული წმიდად, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინა-ხსწარმეტყუელთა მიერ. ერთი წმიდად, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიად. ალვიარებ ერთსა ნათლისლებასა მოსატევებელად ცოდვათა. მოველი აღდგომასა მკუდრეთით, და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნოდსასა. ამინ.

ლოცვად პირველი, დიდისა მაკარისი

ლმერთო, განმწმიდე მე ცოდვილი, რამეთუ არა მიქმნიეს კეთილი წინაშე შენსა, არამედ მისენ მე განსაცდელისაგან და იყავნ

ჩემ შორის ნებად შენი, რაღთა დაუშველად
აღვადგთ პირი ჩემი არაღიარსი და ვაქებდე
სახელსა შენსა წმიდასა, მამისა და ძისა
და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და
უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ლოცვად მე-2, იმავე წმიდისად

შენდამი, მეუფეთ კაცთმთყუარეთ, ძილ-
ისაგან აღდგომილი მოვივლტი, და საქმეთ-
დმი შენთა ვიღუწი მთწყალებითა შენითა,
და გევეღრები შენ: შემეწიე მე ყოველსა
უამსა, ყოველსა შინა საქმესა, და მიჟსენ მე
ყოვლისა სოფლიურისა ბოროტისა საქმისა
და საეშმაკოხსა მოსწროდებისაგან, და მაც-
ხოვნე მე, და შემიყვანე სუფევასა შინა
შენსა საუკუნესა. რამეთუ შენ ხარ შემთ-
ქმედი ჩემი და ყოვლისა კეთილისა წინად-
განმგებელი და მომცემელი, და შენდამივე
არს ყოველი სასოებად ჩემი, და შენდა დიდე-
ბასა აღვავლენ, აწ და მარადის და უკუ-
ნითი-უკუნისამდე. ამინ.



ლოცვად მე-3, მისივე

უფალო ღმერთთ ჩუენთ, რომელმან მრავ-
ლითა სიტკბოებითა შენითა და აურაცხ-
ელითა წყალობითა მომანიჭე ჩუენ და
სათხო-იყავ თანაწარსლვასა ამას სიგრძესა
დამისასა მშვიდობით თანაწარსლვად და
ყოვლისაგან განსაცდელისა და ბოროტისა
დაგვთარენ, შენ, მეუფეთ და შემთქმედო
ყოველთაო, მომეც ჩუენ მიწევნად ცისკრისა
ლოცვათა და გამოაბრწყინვე გულთა შინა
ჩუენთა ჭეშმარიტი ნათელი საუნჯეთაგან
მეცნიერებისა შენისათა და ყოფად ყო-
ველსავე შინა ნებისა შენისა, რამეთუ სახი-
ერი და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ და
შენდა დიდებასა აღვავლენთ, მამისა და
ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის
და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ლოცვად წმ. მცველისა ანგელოზისა მიმართ

წმიდათ ანგელოზთ ღმრთისათ, მცველ
ჩემთ, ევედრე ღმერთსა ჩემთვს.



**ლოცვითა მოწოდებად წმიდისად,
რომლისა სახელიცა გაქუს**

ევედრე ღმერთსა ჩემთვს, წმიდათ სათხო-
მყოფელთ ღმრთისათ (წოდებით და სახ-
ელით), რამეთუ გულსმოდგინედ შენდამი
მოვივლტი, ვითარცა მსწრაფლშემწისა და
მეოხისა სულისა ჩემისათვს.

**მთკითხვად მთავარანგელოზისა მიერ
ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისად**

ღმრთისმშობელთ ქალწულო, გიხაროდენ,
მიმდლებულთ ძარიამ, უფალი შენ თანა!
კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და
კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისად,
რამეთუ მაცხოვარი გვშევ სულთა ჩუენთა.

ჭრობარი ჯუარისად

და ლოცვად ერისა და მამულისათვს

აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე
სამკუდრებელი შენი, ძლევად ჯუარითა
ბარბართა ზედა ღმრთივდაცვულსა ერ-



სა ჩუენსა მთანიჭე და საფარველსა ქუეშე
მისსა დაიცევ, რაღთა ვიტყოდით: უფალო,
დიდებად შენდა.

ლოცვად ცოცხალთაცს

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალე სულიერი
მამად, მთძლუარი, მასწავლელი ჩემი (**ხარის-
ხით და სახელით**), მშობელი ჩემი, შვილი,
ძმანი და დანი, და ნათესავნი კორციელი,
მიქუმელი და ნათლული, და ყოველნივე
მახლობელი და მეგობარი ჩემი (**სახელით**)
და მიანიჭე მათ მშვიდობად შენი და აღავს-
ენ იგინი ყოვლითა კეთილითა.

ლოცვად გარდაცვალებულთად

მთიანენენ, უფალო, სული გარდაცვალე-
ბულთა მონათა და მკევალთა შენთა: მშო-
ბელთა ჩემთანი (**მიცვალებულ მშობელთა
სახელი**) და ყოველთა ნათესავთა ჩემთანი
და კეთილისმყოფელთანი (**სახელით**), და
სასოებით მკუდრეთით-აღდგომასა და საუკუ-
ნოსა ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა
მამათა, ძმათა და დათანი, მიუტევენ მათ

14



დილის ღორცვანი



ყოველნივე შეცოდებანი მათნი და მიეც
მათ საუკუნოდ კსენებად.

საცისკრიტო ღორცვა დასრულებად

ღირს არს ჭეშმარიტად, რაღთა გადიდებ-
დეთ შენ, ღმრთისმშობელთ, რომელი მარა-
დისსანაფრელ იქმენ ყოვლადუბიწოდ და
დედად ღმრთისა ჩუენისა. უპატიოსნესსა
ქერუბიმთასა და აღმატებით უხეშთავესსა
სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა
სიტყვასა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშო-
ბელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა
სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუ-
ნისამდე. ამინ.

უფალო, შეგვწყალენ (3-გზის).

უფალო იესუ ქრისტე, ძეთ ღმრთისათ,
ღორცვით ყოვლადწმიდისა დედისა შენისაღ-
თა, ღირსთა და ღმერთშემთსილთა მამათა
ჩუენთავთა და ყოველთა წმიდათავთა, შეგ-
ვწყალენ ჩუენ. ამინ.



ლოცვანი სამრეკლონი

(პილვად გისლვისა)

სახელითა მიმისაღთა, და ძისაღთა, და
სულისა წმიდისაღთა. ამინ.

ლოცვანი წინადაწყებითნი

უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისათ,
ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისაღ-
თა და ყოველთა წმიდათაღთა, შეგვწყალენ
ჩუენ. ამინ.

დიდებად შენდა, ღმერთთ ჩუენთ, დიდე-
ბად შენდა!

მეუფეო ზეცათათ, ნუგეშინისმცემელო,
სულო ჭეშმარიტებისათ, რომელი ყოველ-
გან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა
შენითა, საუნჯეო კეთილთათ და მომნი-
ჭებელო ცხოვრებისათ, მოვედ და დაემკუ-
დრე ჩუენ შორის, და წმიდა-მყვენ ჩუენ
ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიე-
რო, სულნი ჩუენნი.



წმიდათ ღმერთთ, წმიდათ ძლიერთ, წმიდათ უკუდავთ, შეგვწყალენ ჩუენ (*3-ჯის*).

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ყოვლადწმიდათ სამებათ, შეგვწყალენ ჩუენ, უფალო გვკსნენ და გვლხინე ცოდვათა ჩუენთაგან, მეუფეთ, შეგვნდვენ უშჯულოებანი ჩუენნი, წმიდათ, მოიხილე და განკუტნენ უძლურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათვას.

უფალო, შეგვწყალენ (*3-ჯის*).

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

მამათ ჩუენთ, რომელი ხაზ ცათა შინა, წმიდა-იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი; იყავნ ნებად შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანისა ზედა. პური ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ დღეს და მო-



მიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მისნენ ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევად და ძალი და დიდებად საუკუნეთა მიმართ. ამინ. (*სხერებად მატოესი, 6, 9-13.*)

ღორგევად პირველი წმიდისა დიდისა მაკარისი ღმრთისა-მამისა მიმართ

ღმერთო საუკუნეთათ და მეუფეო ყოვლისა არსებისათ, რომელმან ღირს-მყავ მე მოწევნად ვიდრე ამად უამადმდე, მომიტევენ მე ცოდვანი ჩემნი, რომელნიცა ვქმნენ დღესინდელსა ამას დღესა საქმით, სიტყვით და გულისყმისყოფით, და განწმიდე, უფალო, მდაბალი სული ჩემი ყოვლისაგან ბიწისა კორცისა და სულისა და მომეც მე, უფალო, ღამესა ამას შინა ძილად მისლვად მშვიდობით, რაღოთა აღვდგე მდაბლისა ჩე-



მისა სარეცელისაგან, სათხო-ვეყო ყოვლად-წმიდასა სახელსა შენსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა და განვასხნე მბრძო-ლნი მტერნი ჩემნი, კორციელნი და უკორ-ცონი, და მისენ მე, უფალო, ამაოხსა გულისთქუმათაგან, შემაგინებელთა ჩემთა, და საწადელთაგან ბოროტთა, რამეთუ შენი არს მეუფებად, და ძალი და დიდებად, მამისა ძისა თანა და წმიდასა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

**ლოცვად მე-2, წმიდასა ანტიოქესი,
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესადმი**

ყოვლისა-მპყრობელო, სიტყუათ მამისათ, რომელიცა თვთ სრულ ხარ, იესუ ქრისტე, მრავლისათვს მოწყვალებისა შენისა ნუთ-დესმე განმეშობები მე, მონასა შენსა, არა-მედ მარადის ჩემ შორის განისუენებდ. იესუ, მწყემსო კეთილო ცხოვართა შენთათ, ნუ მიმცემ მე ამბოხებასა გუელისასა, და წადი-



ლსა სატანისასა ნუ დამიტევებ მე, რამეთუ თესლი ხრწნილებისად არს ჩემ შორის. შენ უკუე, უფალო ღმერთთ თაყუანისცემულო, მეუფეო წმიდათ, იესუ ქრისტე, დამიცევ მე მძინარე მიუაჩრდილებელითა ნათლითა, სულისა შენისა წმიდისადთა, რომლითაც განანათლენ მოწაფენი შენი. მომ-მადლე, უფალო, მეცა, უღირსსა მონასა შენსა, ცხოვრებად შენმიერი საწოლსა ჩემსა ზედა: განანათლე გონებად ჩემი ნათლითა წმიდისა სახარებისა შენისა გულისჯის-ყოფისადთა, სული სიყუარულითა ჯუარ-ისა შენისადთა, გული სიწმიდითა სიტყვისა შენისადთა, სხეული ჩემი უვნებელითა ვნები-თა შენითა, და დაიცვენ გულისსიტყუად ჩემი სიმდაბლითა შენითა, და აღმადგინე მე უამსა მარჯუესა დიდებისმეტყუელე-ბად შენდა, რამეთუ ყოვლადდიდებულ ხარ-თანადაუსაბამთად მამით შენით და ყოვ-ლადწმიდით სულითურთ საუკუნეთა შინა. ამინ.



ლოცვად მე-3, სულისა წმიდისა მიმართ
 უფალთ, მეუფეთ ზეცათათ, ნუგეშინის-
 მცემელთ, სულთ ჭეშმარიტებისათ, ნუგე-
 შინისმცემელ-მექმენ და შემინდვენ მე,
 ულიტსა მონასა შენსა, რაოდენიცა, ვი-
 თარკვა კაცმან, ვცოდენ დღეს ნებსით და
 უნებლიერ, მეცნიერებით და უმეცრებით,
 აღტაცებულობისაგან, უკრძალველობისა-
 გან და დიდისა მცონარებისაგან და უდებე-
 ბისა ჩემისა, გინათუ ვფუცე სახელი შენი
 წმიდად, გინათუ ვაფუცე, გინა ცილი ვსწა-
 მე, გინათუ ვგმე გონებითა, გინათუ ვაგინე
 ვისმე, ანუ შევაწუხე, ანუ უხრახე ვისმე,
 გინა რახსამე ზედა განვარისხე ვინმე, ანუ
 უტყუე ვისმე, გინა ძმად მოვიდა ჩემდა და
 შეურაცხ-ვყავ, გინა ვაჭირვე ძმასა და გან-
 ვამწარე, ანუთუ მდგომარეობასა ჩემსა
 ლოცვასა და ფსალმუნებასა შინა გონებად
 ჩემი ბოროტთა და საწუთოთა მიექცა, გინა



შესატყვესისა მეტად განვიშკ, ანუ ურცხვ-ნობით ვჩრახე ანუ ბილწებით, გინა ვი-ცინე უგუნურებით, ანუ ვიცუდდიდებულე, ანუ ვიუძლებე, გინა ვიამპარტავნე, გინა შუენიერებისა მქონებელი ვინილე და მისდა-მი დავსლბი, ანუ შეუტყუებელნი ჩემნი კადნიერებით ვჩრახენ, გინათუ დასაკლე-ბელთა განვიცდიდი ძმისა ჩემისათა, ხოლო ჩემთა აურაცხელად და შეუნდობელად მყოფთა უგულებელს-ვპყოფდი უშჯულოე-ბათა, გინათუ ლოცვად ჩემი უდებ-ვყავ, ანუ სხუანი რაღმე ბოროტნი მიქმნიან და არა მაყსოვან, – უფალო, შემიწყალე და შემინდ-ვე მე, უღილსსა და უხმარსა მონასა შენსა, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყუარემან, რაღთა მშკდობით დავწვე და დავიძინო მე, უძლებმან ამან, და გადიდებდე შენ, მამისა და ძისა თანა, წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.



კონდაკი ღმრთისმშობელისად

ზემთამბრძოლისა ჩემისათვის და მოღუ-
აწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ
ყსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა
აღვწერთ, ღმრთისმშობელთ ქალწულთ,
შენდა მომართ მონანი შენნი, არამედ,
ვითარცა გაქუს ძლიერებად უბრძოლვე-
ლი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუ-
ფლენ ჩუენ, რადთა გიგალობდეთ შენ,
კურთხეულო: გინართდენ სძალო უსძლოთ.

გამთისახე პირსა ზედა თვესსა სახწაუ-
ლი პატიოთსნისა ჯუარისად და თქუ ლოც-
ვად პატიოთსნისა ჯუარისად:

გარეშემიცევ მე, უფალო, ძლიერებითა
პატიოთსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუა-
რისა შენისაღთა, და დამიცვენ მე ყოვ-
ლისა ბოროტისაგან.

ლის არს ჭეშმარიტად, რადთა გადიდებ-
დეთ შენ, ღმრთისმშობელთ, რომელი მა-



რადისსანაფროელ იქმებ ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა. უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უხეშთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვასა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთის-მშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

უფალო, შეგვწყალენ (ვ-გზის).

უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისათ, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისადთა, ღირსთა და ღმერთშემთსილთა მამათა ჩუენთადთა და ყოველთა წმიდათადთა, შეგვწყალენ ჩუენ. ამინ.

ძილად განმზადებულმან, წართქუ

გელთა შენთა შევჭვედრებ სულსა ჩემსა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემთ: შენ მე მაკურთხე, შენ მე შემიწყალე და ცხოვრებად საუკუნოდ მომმადლე. ამინ.



ღორბაზე უწინარეს ზოარებისა

(ეკოლუთიად წმიდისა ზიარებისად)

ღორბაზითა წმიდათა და ღმერთშემთხვილთა მამათა ჩუენთავთა, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენთ, შეგვწყალენ ჩუენ. ამინ.

დიდებად შენდა, ღმერთო ჩუენთ, დიდებად შენდა!

მეუფეთ ზეცათათ, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისათ, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა, საუნჯეთ კეთილთათ და მომნიჭებელო ცხოვრებისათ, მოვედ და დაემკვდრე ჩუენ შორის, და წმიდა-მყვენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდათ ღმერთო, წმიდათ ძლიერო, წმიდათ უკუდავო, შეგვწყალენ ჩუენ (*ვ-გხის*).

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.



յոշակագործմունքակ և սամեծակ, Պետրիպալյան
Իշեն, Սովալու ջայսենյեն և ջայլենյե լուգ-
ատա Իշենտագան, մյուլութ, Պետրելզայն Մի-
ջալուցանո Իշեննո, Իմունքակ, մտօնուց և ջա-
նկալինյեն Մալուշանո Իշեննո, Սահելուսա
Պյենսատչւս.

Սովալու, Պետրիպալյան (*Յ-ՃՅԱՅ*).

Ըստ մամակա մամասա և մամա և մամասա
և մամասա, ան և մամասա և Մամասա-Մամա-
սամամա. ամոն.

Մամակ Իշենտ, Դոմելու եռակ լուգա Պինա,
Իմունք-օպացն Սահելու Պյեն; Մազեդոն Սովու-
զաք Պյեն; Օպացն Ենաք Պյեն զուտառչա լուգա
Պինա, Եղիշեց Քայլանասա Ցեղա. Տուրու Իշե-
նո առևտնակա մամեց Իշեն լուց և մա-
մունքա Իշեն տանանացնո Իշեննո, զո-
ւառչա Իշեն մունքա Ցեղա տանամացնո մատ
Իշենտա; և Եւ Պյեմունքանու Իշեն ջան-
սալուցա առամեց մայսենյեն Իշեն ծառագու-
սացան, Դոմետու Պյեն առև Սովուզաք և մալու
և լուցակա Սայսանյետա մամարտ. ամոն.



უფალთ, შეგუწყალენ (12-გზის).

ლოცვად წმიდისა ითვანე დამძსკელისად
 მეუფეთ უფალთ იესუ ქრისტე, ღმერთთ
 ჩუენთ, რომელსა მხოლოსა გაქუს კელმ-
 წიფებად კაცთა ცოდვათა მოტევებისად,
 ვითარეცა სახიერმან და კაცთმოყუარებან,
 უგულებელს-ყვენ ყოველნი შეცოდებანი
 ჩემნი, მეცნიერებითნი და უმეცრებითნი,
 და ლირს-მყავ მე დაუშველად ზიარებად
 საღმრთოთა და დიდებულთა და უხრწენელ-
 თა და ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა
 შენთა, ნუ სიმძიმედ, ნუცა საჭანჯველად,
 ნუცა დასართველად ცოდვათა, არამედ
 სალხინებელად და წმიდამყოფელად და
 წინდად მერმისა ცხოვრებისა და სუფევი-
 სა და ზღუდედ და შემწედ და საძლეველ
 წინააღმდეგთა და აღსაყოცელ მრავალ-
 თა შეცოდებათა ჩემთა, რამეთუ შენ სარ
 ღმერთი წყალობისა და მოწყალებისა და
 კაცთმოყუარებისად და შენდა დიდებასა



აღვავლენთ, თანა მამით და სულით წმიდათურთ, აწ და მარადის და უკუნითო-უკუნისამდე. ამინ.

ლოცვად წმიდისა ითვანე თქობირისად
 ღმერთთ, მიღხინე, მომიტევე, შემინდვე
 მე შეცოდებანი ჩემნი, რაოდენიცა გცოდე
 შენ საქმით, ანუ სიტყვათ, ანუ გონებით,
 ნებსით, ანუ უნებლიერთ, ცნობით ანუ უმე-
 ცრებით. ყოველივე შემინდვე მე, ვითარცა
 სახიერმან და კაცომოყუარემან, მეოხები-
 თა ყოვლადუხრწნელისა დედისა შენისად-
 თა და გონიერთა შენთა მსახურთა და
 წმიდათა ძალთადთა და ყოველთა წმიდა-
 თა, საუკუნითგან სათხოყოფილთა შენთად-
 თა. დაუშველად სათხო-მიყავ მე შეწყ-
 ნარებად წმიდასა და უხრწნელსა კორცსა
 შენსა და პატითსანსა სისხლსა შენსა
 საკურნებელად სულისა და კორცთა და
 აღსაჭოუელად ბოროტთა გულისსიტყუათა
 ჩემთა, რამეთუ შენი არს სუფევად და ძალი



და დიდებად, მამისა და ძისა და წმიდისა
სულისად, აწ და მარადის და უკუნითი-
უკუნისამდე. ამინ.

სხუად ლოცვად ითვანე თქრობილისად

უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო,
მილხინე, მომიტევე, შემიწყალე და შემინდვე
მე, ცოდვილსა და უგმარსა და უღირსსა
მონასა შენსა, შეცოდებანი და ცოდვანი
და ცოდვითდაცემანი ჩემნი, რაოდენნიცა
სიყრმით ჩემითგან ვიდრე დღესინდელად
დღედ და უამადმდე გცოდენ, უკუეთუ
ცნობით, ანუ უმეცრებით, უკუეთუ სიტყ-
კო და საქმით, ანუ გონებით, ანუ მოგო-
ნებით და დაწყებით და ყოვლით საცნო-
ბელით ჩემით; მეოხებითა უთესლოთდმჲ-
ბელისა შენისა ყოვლადუხრწნელისა და
მარადისქალწულისა მარიამ, დედისა შენი-
სადთა, მხოლოდსა ურცხუენელისა სასოე-
ბისა და შუვამდგომელობისა და მაცხოვა-
რებისა ჩუენისადთა, ღირს-მყავ მე დაუშ-



Ճյելած Կօսհյեծած Սերբինյելուա, Սկըզգչուա-
տա, Հքեռալումպուուլուա և Տամոնյելուա Տա-
օդյմլուուտա Մյենտա Մուսաթյեզեծած Հրու-
զատա և Հքեռալյեծած Տայպանուա, Հանսեա-
նիմյելուա, Հանմանատլուեծած, Տօմուկայցա-
ւա, Տայպանյեծած և Տօմրույլուա Տայլուսա և
Հրուշատա և Ալսայուրյալուա և Տրուլուած
Շինոմպուուլուա Ճորություա Ցուլուսսությու-
տա և Մոշոնյեծած Իյեմտա և Հրուժինյենա-
տա, և Հրամուտա Տայլուեծած, Ենյելուա
և Ճորություա Տայլուա, Հրամետյ Մյեն Առե
Տայլուա և Ժալու և Ժուգեծած և Ճագուցու-
ած և Տայպանուսցամած, Տանս Մամուտ և Տայ-
լուուտ Իմուգուրուտ, Թի և Մարաֆուս և Սկը-
նօւու-Սկընուսամջա. Ամօն.

ՏԵՐԱԶ ՀՐՈՎԱՅՏ ՈՒՂԱՆԵ ԴԵՐՈՒՊՈՒՏՈՒՍԱԶ

Ջինամս Սոյալու և Ալզուարյեծ, Հրամետյ
Մյեն Եակ Հյեմմարությած Հրուսաց, Եյ Հմրուուսա
Հքեռալուսազ, Մուսրուլու Տայլուած Հրուզուլ-
ուա Հքեռալյեծած, Հրամելուուցան Ճարվելու Եյ



ვარ. კუალად მტრამს, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი კორცი შენი და ესე არს თვით პატითსანი სისხლი შენი. შენ უკუკ გევედრები: შემიწყალე მე, შემინდვენ შეც-ოდებანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიერთნი, სიჭყვათნი და საქმითნი, ცნობითნი და უმე-ცრობითნი, და ღირს-მყავ მე დაუშველად ზიარებად უხრწნელთა საიდუმლოთა შენ-თა მთსატევებელად ცოდვათა და ცნოვრე-ბად საუკუნოდ. ამინ.

შემდგომად, ტრთპარი:

სერობასა მას საიდუმლოსა შენსა დღეს, ძეთ ღმრთისათ, ზიარებად შემიწყნარე, რამეთუ არა მტერთა შენთა უთხრა საიდ-უმლოდ შენი, არცა ამბორს-გიყო, ვითარცა იუდა, არამედ, ვითარცა ავაზნაკი, აღვია-რებ შენ: მომიჯსენე მე, უფალო, სასუფე-ველსა შენსა.

მერმე ლოცვად ესე:

მეუფეთ კაცთმოყუარეთ, უფალო იესუ



ქრისტე ღმერთო ჩემთ, ნუმცა დასაძლელად
მექმნების მე სიწმიდენი ესე უდირსებისათვის
ჩემისა, არამედ – განსაწმედელად და წმი-
დამყოფელად სულისა და კორცისა და წინ-
დად მერმისა ცხოვრებისა და სუფევისა.

ხოლო ჩემდა მიახლებად ღმრთისა კეთილ
არს, და დადებად უფლისა მიმართ სასოე-
ბად ცხოვრებისა ჩემისად.

საგადლობელნი ლოცვანი

შეგდგომად საღვროვნეს ზოარქეპისა

მუკლნი მაწუეველთბითნი თდესცა მიემთხ-
ო კეთილსა ზიარებასა ცხოველსმყოფელთა
საიდუმლოთა ნიჭთასა, უგალთბდ მეყსეულად
და მადლობდ დიდად, და ამათ მკურვალითა
სულითა ღმრთისა მიმართ იტყოდე:

დიდებად შენდა ღმერთო,

დიდებად შენდა ღმერთო,

დიდებად შენდა ღმერთო.



და ლოცვან ესე სამადლობელი:

გმადლობ შენ, უფალთ ღმერთთ ჩემთ,
 რამეთუ არა განმაგდე მე, ცოდვილი, არა-
 მედ ზიარებთად მე სიწმიდეთა შენთა
 ღირს-მყავ. გმადლობ შენ, რამეთუ მე, არა-
 ღირსი, ზიარებთად უხრწნელთა შენთა და
 ზეცისა ნიჭთა ღირს-მყავ; არამედ, მეუფეთ
 კაცთმოყუარეთ, ჩუენთვს მოქუდართ და
 აღდგომილთ და მომნიჭებელთ ჩუენდა
 სამინელთა ამათ და ცხოველსმყოფელთა
 საიდუმლოთა შენთა კეთილისსაქმედ და
 განსაწმედელად სულთა და კორცითა ჩუენ-
 თა, მომეც ყოფად ამათი ჩემდაცა საკურნე-
 ბელად სულისა და კორცითა, განსადევნე-
 ლად ყოველთა წინაპლმდგომთა, განსანა-
 თლებელად თუალთა გულისა ჩემისათა, სიმშვდედ
 სულიერთა ძალთა ჩემთა, სარ-
 წმუნოებად ურცხუენელად, სიყუარულად
 შეუთრგულებელად, აღმავსებელად სიბრძ-
 ნითა, დამარხვად მცნებათა შენთა, შეძინე-
 ბად საღმრთოთა მადლობა შენთა და შენისა



სასუფეველისათვის თკავებად, რადთა სიწმიდესა
შინა შენსა ამათ მიერ დაცვული მაღლსა
შენსა მოვიკსენებდე მარადის და არღარა
თავით თკავით ცხოველ-ვიყო, არამედ –
შენდამი, მეუფისა ჩუენისა და ქველისმოქ-
მედისა, და ეგრეთვე ამის ცხოვრებისაგან
განსრული, სასორისათვის ცხოვრებისა საუ-
კუნოესადთა, მარადისმყოფსა განსუენებასა
მივიწიო, სადა მედლესასწაულეთა ჯმად დაუ-
ცხომელ არს და დაუსრულებელ – სიჭ-
კბოებად მათი, რომელნი ჰქედვენ პირისა
შენისა სიკეთესა გამოუთქუმელისა, რამეთუ
შენ ხარ ჭეშმარიტად სასურველი და გამო-
უთქუმელი სიხარული მოყუარეთა შენთად,
ქრისტე ღმერთო ჩუენთ, და შენ გიგალობს
ყოველი დაბადებული უკუნისამდე.

«უკუეთუ არა შჭამოთ კორცი ძისა კაცი-
სად და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს
ცხოვრებად თავთა შთრის თქუენთა. ხოლო
რომელი ჭამდეს კორცისა ჩემსა და სუმიდეს

34



სხვადასხვა ღოცვანი



სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებად საუკუნოთვე. (**სახალებად ითვანესი, 6, 53d-54a.**)

სხვადასხვა ღოცვანი

ღოცვად იესუსი

უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისათ,
შემიწყალე მე ცოდვილი.

ორი ღოცვად, ოთმელნიც წარიკითხვიან
უბედურების უამს, მტერთა თავდასხმისას,
და ყოველგვარი ხიდათისას:


ფსალმუნი 90-ე

რომელი დამკვდრებულ არს შეწევნითა
მაღლისადთა, საფარველსა ღმრთისა ზეცა-
თადსა განისუენთს. პრქუას უფალსა: კელის-
აღმბყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედ-
რებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ
მას. რამეთუ მან გივსნეს შენ საფრაისა
მისგან მონადირეთადსა და სიტყვასა მისგან
განსაკრთომელისა. ბეჭთსაძმუალითა მისი-



თა გფარვიდეს შენ, და საგრილსა ფრთეთა
მისთასა ესვიდე; საჭურველად გარემოგად-
გეს შენ ჭეშმარიტებად მისი. არა გეშინთ-
დის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომე-
ლი ფრინავნ დღისი; ღუაწლისაგან, რომე-
ლი ვალნ ბნელსა შინა, შემთხუევისაგან
და ეშმაკისა შუადღისა. დაეცნენ მარცხ-
ენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი –
მარჯუენით შენსა, ხოლო შენ არა მიგე-
ახლნენ. ხოლო შენ თუადლითა შენითა ჰნედ-
ვიდე და მისაგებელი ცოდვილთად იხილო.
რამეთუ შენ, უფალი, ხარ სასო ჩემდა და
მაღალი გიყოფიეს შესავედრებელად შენ-
და. არა შევიდეს შენდა ძრი და გუემად
არა მიეახლოს საყოფელთა შენთა. რამეთუ
ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთვს
დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენ-
თა; კელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ,
ნუსადა წარსცე ქვასა ფერვი შენი; ასპიტ-
სა და ვასილისკოსსა ზედა ხვდოდი და
დასთრგუნთ შენ ლომი და ვეშაპი. რამეთუ

36



სხვადასხვა ლოცვანი

მე მესვიდა, და ვიყსნა იგი და დავითარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი. ჯმა-ყოს ჩემდამთ, და მე ვისმინთ მისი და მის თანა ვიყო ჭირსა შინა; ვიყსნა იგი და ვადიდო იგი. დღეგრძელებით განვაძლო იგი და უჩუენთ მას მაცხოვარებად ჩემი.

და ლოცვად პატითსნისა ჯუარისად

აღდეგინ ღმერთი და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი და ივლტოდენ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან. ვითარცა მოკლდის კუამლსა, მოკლდეს, და ვითარცა ცკლი რაღ დადნის წინაშე ცეცხლსა, ეგრეთ წარწყმდენ ეშმაკნი პირისაგან მათისა, რომელთა უყუართ ღმერთი და გამოისახვენ პირჯუარსა და სიხარულითა იტყვანს: გიხართდენ, ყოვლადპატითსანთ და ცხოველს-მყოფელთ ჯუართ უფლისათ, განმდევნელთ ეშმაკთათ შენ ზედა ჯუარცუმულისა ძალითა, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, ჯოჯოხეთს შინა შთასლვითა ეშმაკისა ძალისა დამთრგუნველისა, რომელმან-



ცა მოგუანიჭა ჩუებ ჯუარი მისი ყოვლადდა
პატიოსანი, განსადევნელად ყოველთა წინა-
აღმდგომთა ძალთა. პოდ, ყოვლადდპატიო-
სანთ და ცხოველსმყოფელთ ჯუართ უფლი-
სათ! შეგუეწიე ჩუებ ყოვლადწმიდისა ქალ-
წულისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა
წმიდათა თანა, უკუნისამდე. ამინ.

ჭრობარი სნეულთათვს

შენ მხოლოდ ხარ, ქრისტე, მსწრაფლშემ-
წე; მსწრაფლ გამოაჩინე ზეცით საფარვე-
ლი შენი შეჭირვებულსა ამას მონასა შენ-
სა (*სახელით*) ზედა და იყსენ იგი სნეულება-
თაგან, ჭირთა და მწარეთა სალმობათაგან
და აღადგინე მაქებელად შენდა და სადი-
დებელად სამარადისოდ, მეონებითა ღმრთის-
მშობელისადთა, მხოლოთ კაცთმოყუარე.

ლოცვად სეფისკუერისა და
ნაკურთხი წყლის მიღებისად
უფალთ ღმერთთ ჩემთ, ყვენ ესე წმიდად

38 ☧ ☧ **(სხვადასხვა ლოცვანი)** ☧ ☧ ☧

ძღუები შენი: სეფისკუერი და წმიდად წყალი შენი მისატევებელად ცოდვათა ჩემთა, განსანათლებელად გონებისა ჩემისა, განსამტკიცებელად სულიერთა და კორციელთა ძალთა ჩემთა, საკურნებელად სულისა და კორცითა ჩემთა, დათრგუნვად ვნებათა და უძლურებათა ჩემთა განუზომელისა მოწყალებისა შენისა გამო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისაღთა და ყოველთა წმიდათა შენთაღთა. ამინ.

(სეფისკუერისა და ნაკურთხი წყლის მიღების წესი უნდა შეათანხმოთ თქვენს მოძღვართან)

ლოცვად უწინარეს სახრდელის მიღებისად:
მამათ ჩუენთ... (იხილეთ გვ. 5)
ღმრთისმშობელთ ქალწულო, გინართდენ...
(იხილეთ გვ. 12)

ლოცვად შემდგომად სახრდელის მიღებისად
გმადლობ შენ, ქრისტე ღმერთო ჩუენთ,
რამეთუ განმაძლენ ჩუენ ქუეყნიერთა კე-



თილთა შენთაგან; ნუ დამაკლებ ჩუენ ზე-
ცისაცა შენსა სასუფეველსა, არამედ ვი-
თარცა შორის მოწაფეთა შენთა მიხუედ,
მაცხოვარ, და მშკდობად მიშმადლე მათ,
ეგრეთცა მოვედ ჩუენ თანა და გუაცხ-
ოვნენ ჩუენ. ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად... (იხილეთ გვ. 14)

ღორგევად ყოვლისა საქმისა დაწყებასა
მეუფეთ ზეცათათ... (იხილეთ გვ. 4)
ანუ ღორგევად ესე:
უფალო გუაკურითხენ.

ღორგევად ყოვლისა საქმისა სრულქმნასა
აღვსებად ყოველთა კეთილთად შენ ხარ,
ქრისტე, ღმერთო ჩუენთ, აღვსე სიხარუ-
ლითა და მხიარულებითა გული ჩემი და
მაცხოვნე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი
მრავალმოწყალე.

ანუ ღორგევად ესე:
დიდებად შენდა უფალო.



ტრთბარი მგზავრობის მნებებელთათვს
 გხად და ჭეშმარიტებად შენ ხარ, ქრისტე,
 მოგზაური ანგელობი აწ მოუვლინე მონა-
 თა და მკევრლთა შენთა (**სახელით**), მფარვე-
 ლად, ვითარცა თდესმე ტობიას, ყოვლისა-
 გან ბორთოფისა ყოველსა კეთილმითუა-
 ლულებასა შინა უვნებელად დამცველი,
 სადიდებელად შენდა, მეოხებითა ღმრთისმ-
 შობელისადთა, მხოლოთ კაცთმოყუარეთ.

დიდებად მამასა და ძესა

და წმიდასა სულსა, აწ და მარადის
 და უკუნითა-უკუნისამდე. ამინ.

კონდაკი მგზავრობის მნებებელთათვს

ვითარცა ლუკასა და კლეოპას თანა ემმა-
 უსს შინა მოგზაურობდი, მაცხოვარ, თან-
 ამავალ ექმენ აწ მონათაცა და მკევრლთა-
 ცა ამათ შენთა (**სახელით**), მგზავრობისა მნებებელთა და იჯსნენ იგინი ყოვლისა ბო-
 რთოფისა გარემოდგომილებისაგან, რამეთუ ყოველივე ძალ-გიც, რათდენიცა გენებოს,
 ვითარცა კაცთმოყუარეთ ხარ.



ლოცვად ეფრემ ასურისად

უფალო და მეუფეთ ცხოვრებისა ჩემისათ, სულსა უქმობისასა, მიმოწელილველთბისასა, მთავრობისმოყუარებისასა და ცუდადმეტყუელებისასა ნუ მიმცემ მე.

ხოლო სული სიწმიდისად, სიძდაბლისად, მოთმინებისა და სიყუარულისად მომმადლე მე, მონასა შენსა.

ჭე, უფალო, და მეუფეთ, მომანიჭე მე განცდად თკსთა ცოდვათად და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

(ღირსი ეფრემ ასურის ლოცვის წაკითხვის წესი უნდა შეათანხმთ თქვენს მოძღვართან)

ლოცვად სახლიდან გასლვისად

წმიდისა იოვანე თქრობირისად

განგეშორები შენ, საჭანა, და ყოველსა ამპარტავანებასა შენსა და ყოველსა შეახურებასა შენსა, და შეგეერთები შენ, ქრისტე, სახელითა მამისადთა და ძისადთა

42



და სულისა წმიდისადთა. ამინ. (და გამთო-
სახე პირ-ჯუარი და გზასაც გადასახე)

ლოცვად წმიდისა ითანიკესი

სასოება ჩემდა – მამა, შესავედრებელად
ჩემდა – ძე, მფარველ ჩემდა – სული
წმიდა; სამებათ წმიდათ, დიდებად შენდა.

ჭროპარი ღმრთისმშობელისად

მოწყვალებისა კარი განგვღე, კურთხეულ-
ობა ღმრთისმშობელთ, რადთა, რომელნი-
ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ
განვერჩნეთ წინააღმდეგომთა მტერთაგან,
რამეთუ შენ ხარ ცხოვრებად ნათესავისა
ქრისტეანეთადსად.

ჭროპარი აღდგომისა

ქრისტე აღდგა მკუდრეთით, სიკუდილი-
თა სიკუდილისა დამთრგუნველი, და საფლა-
ვების-შინათა ცხოვრებისმიმნიჭებელი.

(წარიკითხვს ვ-გზის)



**ტრთპარი მთციქულისა ანდრეა
პირველწოდებულისად, საქართველოში
ქრისტეს პირველმქადაგებულისად**

ვითარცა მთციქულთაგან პირველწოდე-
ბული და თკა ძმად მთავარმთციქულისად,
მეუფესა ყოველთასა ევედრე, ანდრეა, რა-
თა სოფელსა მშკდობად მთანიჭოს, და სულ-
თა ჩუენთა დიდი წყალობად.

**ტრთპარი მთციქულთა სწორისა ნინოსი,
ქართველთა განმანათლებულისად**

სიტყვსა-ღმრთისა მსახურთა თანამო-
საგრეო, და ანდრეადსა ქადაგებისა წარმარ-
თებათ, ქართველთა განმანათლებულთ და
სულისა წმიდისა ქნართ, ნინო, ევედრე
ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა
ჩუენთა.

**ტრთპარი დიდმოწამისა გიორგისი,
საქართველოს მფარველისად**
ტყუეთა განმათავისუფლებულთ და გლა-



საკთა კელისაღმპურობელო, სწორი მკუ-
რნალო და მეფეთა უძლეველო წინამდრიდ-
ლო, ღუაწლით შემთხვილო, დიდო მოწამეთ
გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყა-
ლებად სულთა ჩუენთა.

**ტროპარი მღდელთმთავრისა ნიკოლოზისი,
საქართველოს ეკლესიის მფარველისად**

კანონად სარწმუნოებისა და საჭად სიმ-
შვდისა და მოძღურად მარხვისა გყო შენ
ქრისტემან სამწყსოდსა შენისათვს ჭემა-
რითებით, ამისთვისცა მოიგე სიმდაბლითა
სიმაღლე და სიგლახეაკითა სიმდიდრე, წმი-
დათ დიდო მღდელთმთავრობით ნიკოლოზ,
ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად
სულთა ჩუენთა.

ტროპარი გარდაცვალებულთად

წმიდათა თანა განუსუენე, ქრისტე ღმერ-
თო, საუკუნითგან გარდაცვალებულთა მთ-
ნათა და მკევალთა შენთა, სადა-იგი არა



არს ჭირი, მწუხარებად, არა ურვა, არცა
სულთქუმად, არამედ სიხარული და ცხოვ-
რებად იგი დაუსრულებელი.

**ლოცვად წმიდისა ითვანე თქოთბირისად
(ლოცვანი სავედრებელნი, რიცხვთ 24-თა
უძმთანი – ღამისანი და ღღისანი)**

1. უფალო, ნუ მომაკლებ მე ზეციერთა
შენთა და საუკუნოთა კეთილთა.
2. უფალო, მივსენ მე საუკუნოთა სატან-
ჯველთაგან.
3. უფალო, უკუეთუ სიტყუთა ანუ საქმი-
თა, გონებითა ანუ გულისჯმისყოფითა შევ-
ცოდე, შემინდვენ მე.
4. უფალო, მივსენ მე ყოვლისაგან იწოდე-
ბისა და უმეცრებისა, დავიწყებისა, და უდე-
ბებისა და განქუავებულისა უგრძნობელო-
ბისა.

5. უფალო, მივსენ მე ყოვლისაგან განსაც-
დელისა და განწირულებისა.

6. უფალო, განანათლე გული ჩემი, დაბ-



ნელებული ბორთჭითა გულისტქუმითა.

7. უფალო, მე ვითარცა კაცმან შეგცოდე, ხოლო შენ, ვითარცა ღმერთმან, შემიწყალე მე.

8. უფალო, იხილე უძლურებად სულისა ჩემისად და მომივლინე მადლი შენი შეწევნად ჩემდა, რადთა ჩემ შთრის იდიდოს სახელი შენი წმიდად.

9. უფალო იესუ ქრისტე, შთასწერე სახელი ჩემ მონისა შენისად წიგნსა შინა ცხოვრებისასა, და მომმადლე მე აღსასრულიცა კეთილი.

10. უფალო ღმერთთ ჩემთ, არარად კეთილი მიქმნიეს წინაშე შენსა, გარნა თანალმთბითა შენითა ღირს-მყავ მე ყოვლისავე საქმისა კეთილად დაწყებასა.

11. უფალო, აწმე გულსა ჩემსა ცუარი მადლისა შენისად.

12. უფალო, ღმერთთ ცისა და ქუეყანისათ, მომიასენე მე ცოდვიდლი მონად შენი, სირცხვილეული, უკეთური და არაწმიდად,



დიდისაებრ მოწყვალებისა შენისა, ოდეს
მთხუავე სუფევითა შენითა.

13. უფალო, სინანულსა შინა შემიწყნა-
რე მე და ნუ დამიტევებ მე.

14. უფალო, არა შთამაგდო მე განსაც-
დელსა.

15. უფალო, მომეც მე გულისსიტყუად
კეთილი.

16. უფალო, მომცენ მე ცრემლნი და
ქსენებად სიკუდილისად და ლმთბიერებად.

17. უფალო, მომეც მე აღმოთქუმად ცოდ-
ვათა ჩემთად.

18. უფალო, მომეც მე სიმდაბლე, მოკუე-
თად ნებისად და მთრჩილებად.

19. უფალო, მომეც მე მოთმინებად, სულ-
გრძელებად და სიმჟღე.

20. უფალო, დანერგე ჩემ შთრის ძირი
კეთილთად – შიში შენი გულსა შინა ჩემსა.

21. უფალო, ღირს-მყავ მე, შეყუარებად
შენდა ყოვლითა სულითა და ყოვლითა
გონებითა და ყოვლითა გულითა ჩემითა,



და დაცვად ყოველთა შინა ნებისა შენისა.

22. უფალო, დამიტარე მე უკეთურთა
კაცთაგან და ქმნათაგან და ვნებათა, და
ყოვლისაგან ბორთჭისა და უჯერთვისა
საქმისა.

23. უფალო, ბრძანე, ვითარცა უწყი, ვი-
თარცა გნებავს, და იყავნ ნებავ შენი ჩემ
შორისცა ცოდვილისა.

24. უფალო, იყავნ ნებავ შენი და არა
ნებავ ჩემი. მეოხებითა და ვედრებითა
ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა მარი-
ამისა, და ყოველთა წმიდათა შენთავთა,
რამეთუ კურთხეულ ხარ უკუნისამდე. ამინ.

მუშანი ამის წიგნისანი გევედრებით მკითხ-
ველთა: შეცთომილებავ თუ რადმე იხილოთ, შეგ-
ვინდევთ და ლოცვით მოგვიასენებდეთ, რადთა
თქუნეცა შეგენდვნენ ცთომილებანი თქუნნი.

განსაკულდა. დიდებად და გადლო-
ბად უფალსა ღმერთისა ჩუენსა, წყა-
როსა ყოვლისა პეტილისასა. ამინ.